პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს

გადაწყვეტილება № 166

20 19 წ. "09" 09

ქ.თბილისი

შპს ბათუმის სამედიცინო აკადემიის ავტორიზაციის შესახებ

დაწესებულების მიერ თვითშეფასების კითხვარში ასახული ინფორმაციის, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა" ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, ,,პროფესიული განათლების შესახებ კანონის'' მე-8 მუხლის მე- 5 პუნქტის, 39-ე მუხლის 1^5 პუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების" 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა" ქვეპუნქტისა და 25-ე მუხლის პირველი, მე-3, მე-4 და მე-5 პუნქტების შესაბამისად,

საბჭომ გადაწყვიტა:

1. შპს ბათუმის სამედიცინო აკადემიას (საიდენტიფიკაციო კოდი: 245419355) 6 წლის ვადით მიენიჭოს პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი/კოლეჯი და პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 243-ით.
2. შპს ბათუმის სამედიცინო აკადემიას მიენიჭოს უფლებამოსილება, განახორციელოს დანართით გათვალისწინებული საგანმანათლებლო პროგრამები.
3. პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2019 წლის 9 სექტემბრის №14 სხდომის ოქმის მეექვსე ნაწილი ცნობილ იქნას ამ გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილად.
4. პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილების გასაჩივრება შესაძლებელია მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში,

სააპელაციო საჩივრის სააპელაციო საბჭოში წარდგენის გზით შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, მ. ალექსიძის ქ. №1 ან ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში სარჩელის შეტანის გზით შემდეგ მისამართზე, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კილომეტრი №6.

თავმჯდომარე
თამარ ქიტიაშვილი

მდივანი
ლელა მაისურაძე

დანართი

საგანმანათლებლო პროგრამები

№	პროგრამის დასახელება	პროფესიული განათლების დონე / საფეხური	მისანიჭებელი პროფესიული კვალიფიკაცია კოდის მითითებით	კრედიტების რაოდენობა ქართულენოვანი სტუდენტების სათვის	კრედიტების რაოდენობა არაქართულენოვანი სტუდენტების სათვის	სწავლების ენა	ადგილების ზღვრული რაოდენობა	პროგრამის განხორციელების მისამართი / მისამართები
1	საექთნო განათლება (1)	მეხუთე დონე/საფეხური	ა) ასოცირებული ხარისხი საექთნო საქმეში (ამოქმედდეს 2020 წლის 29 თებერვლიდან) 0913 ბ) მეხუთე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია საექთნო საქმეში (მოქმედების ვადა 2020 წლის 29 თებერვალი) 090554	180	210	ქართული	120	ბათუმი, პუშკინის ქ. N118
2	ფარმაცია (სააფთიაქო) (1)	მეხუთე დონე/საფეხური	ა) ასოცირებული ხარისხი ფარმაციაში (ამოქმედდეს 2020 წლის 29 თებერვლიდან) 0916 ბ) მეხუთე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია ფარმაციაში (მოქმედების ვადა 2020 წლის 29 თებერვალი) 090352	123	153	ქართული	80	ბათუმი, პუშკინის ქ. N118

(1) - აღნიშნავს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის (პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის) საფუძველზე შემუშავებულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას;

(2) - აღნიშნავს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის (პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის) საფუძველზე შემუშავებულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას, რომლის სავალდებულო პროფესიული მოდულებით გათვალისწინებული სწავლის შედეგებისათვის გამოყოფილი კრედიტების საერთო მოცულობის 50% ან მეტი მიიღწევა რეალურ სამუშაო გარემოში (დუალური).

ინფორმაცია იმ პროგრამების შესახებ, რომლებსაც დაწესებულება განახორციელებს უკვე ჩარიცხული პროფესიული სტუდენტებისათვის, მილევად რეჟიმში, პროფესიული განათლების შესახებ საქართველოს კანონის საფუძველზე

№	პროგრამის დასახელება	პროფესიული განათლების დონე / საფეხური	მისანიჭებელი პროფესიული კვალიფიკაცია კოდის მითითებით	კრედიტების რაოდენობა ქართულენოვანი სტუდენტები სათვის	კრედიტების რაოდენობა არაქართულენოვანი სტუდენტები სათვის	სწავლების ენა	სტუდენტთა ფაქტობრივი რაოდენობა	პროგრამის განხორციელების მისამართი / მისამართები
1	პრაქტიკოსი ექთანი (1)	მეხუთე საფეხური	პრაქტიკოსი ექთანის მეხუთე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია 090552	134	164	ქართული	34	ბათუმი, პუშკინის ქ. N118
2	ფარმაცევტის თანაშემწე (1)	მეოთხე საფეხური	ფარმაცევტის თანაშემწის მეოთხე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია 090351	95	125	ქართული	9	ბათუმი, პუშკინის ქ. N118

(1) - აღნიშნავს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის (პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის) საფუძველზე შემუშავებულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას;

(2) - აღნიშნავს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის (პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის) საფუძველზე შემუშავებულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას, რომლის სავალდებულო პროფესიული მოდულებით გათვალისწინებული სწავლის შედეგებისათვის გამოყოფილი კრედიტების საერთო მოცულობის 50% ან მეტი მიიღწევა რეალურ სამუშაო გარემოში (დუალური).